პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ციხე-კავირი

ფასი 3 კაპ.

1-ლ და მე 2 ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ORGANO

გამოდის ხუთშაბათობით და კვირაობით. წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯორჯიაშვილის (ყოფ. ბარიატინსკის) ქუჩა № 8.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ—1 მ.70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ. წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფასი 1 კვ.—80 კ. სტრ. მე 4-ზი—40 კ.

176 (1171) | ხუთშაბათი, 2 დეკემბერი 1926 წ. | (1171) 176

ვემზადოთ ფვევამდე მომზადების ჩასატარებლად.

ამ მოკლე ხანში დაიწყება 1905 წელში დაბადებულ მუშა-კარგლებური ახალგაზრდების ფვევამდე მომზადება.

ფვევამდე მომზადება დიდ ბოლოს თამაშობს ჩვენი საბჭოთა კავშირის სამხედრო მოვალეობაში. მის გარეშე შეუძლებელია ტერისტიტების წარმატებით განვითარება და ნამდვილი სამსახურის გავლა ორ-ველში კადრის ნაწ ლებში. ის ბრის მშრომელთა სამხედრო მოზადების აუცილებელი პირველი ეტაპია. ფვევამდე მომზადებ ერთ-ასწარ იცნობს მუშა-გლეხ ერ ახალგაზრდობას სამხედრო საქმეს, სამხედრო სახ ხე ის ფლობს, წითელი არმიის ორგანიზაციას. ამით ის ამზადებს ახალგაზრდა მუშას და გლეხს წითელი არმიის ტერიტორიალურ და კადრის ნაწილებში სამსახურისათვის.

ფვევამდე შიერებზე წინასწარ მომზადებული მშრომელი ახალგაზრდა წითელ ჯარში მსვლელობას ადვილად ითვისებს სამხედრო საქმეს, ხდება ჩინებული წითელი მებრძოლი.

ყოველივე ეს უკვე დაამტკიცა წინა წლებში ჩატარებულ ფვევამდე მომზადების გამოცდილებამ. საქართველოში ჩვენ უკვე მცირეჯერ ვატარებთ ფვევამდე მომზადებას. გამოცდილება ამ მხრივ არც ჩვენ გვაკლია. ამიტომ ძმობილ ფვევამდე მომზადების ჩატარებისათვის მზადებ სას ჩვენმა ნაწილებმა საკმაოთ უნდა გამოიყენონ ეს გამოცდილ ება, მხედველობიდან არ უნდა გაუშვან წარსულის არც ერთი შეცდომა და მიღწევა. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს წერტების მოწყობას და ფვევამდი შეკრების სამეცადინეო პროგრამების საფუძვლიანად დამუშავებას, წერტილებზე სამუშაოდ აქტიურ და კარგად მომზადებული პოლიტ-მუშაკების გამოყოფას. წლეულს პირობები მომზადების ჩასატა-ებოდ გაცილებით უფრო უკეთესია, ვიდრე წარსულ წლებში იყო. ამატომაც სრული უფლება გვაქვს ფ ფ ეულს ველოდეთ უფრო მეტ მიღწევებს ფვევამდ შეკრების ჩატარებაში წარსულ წლებთან შედარებით. უნდა მიგიდეწიოთ მას, რომ არც ერთ ფვევამდელმა გვერდი არ აუარეთოს შეკრების და ყველანი თავის დროზე უკლებლივ გაჩოცხადდენ სამოსწავლო წერტილზე.

ფვევამდე მომზადების ნაყოფიერ ჩატარებას უზრუნველყოფს მხოლოდ და მხოლოდ საფუძვლიანი, დაკვირვებული მომზადება, წინასწარ მოამზადო შეკრების ყველა მხარეებს დაფვრილებით გათვალისწინება. ამასთან ერთად ადგილობრივ სამოქალაქო პარტ და კომკავშირის ორგანიზაციების მ ს ა ქმეში აქტიურად ჩაბმა. მხოლოდ პარტიის, კომკავშირის, საბჭოთა ორგანიზ ციების და ძ ა ქრომელთა ფართე მ ა ის აქ ტიური დახმარ ბ ით ჩვენ შეესძლებთ ფვევამდე მომზადების საუკეთესოდ ჩატარებას. ყოველ ლ ვარი ზომა უნდა ვიხმა-ოთ, რომ ამ დახმარებითაც უზრუნველყოფ ლ ვიყოთ.

ვემზადოთ ფვევამდე მომზადების ჩასტა-ებლად! ყოველ ... ძვრებო!

დამარცხება, რომელსაც გამარჯვება მოყვება

ინგლისის გაფიცულ მაღაროელების მთლიანი ფრონტი გაირღვა. ქვანახშირის ყველა რაიონებში გარდა იორკშირის, სამხრეთ უელსისა, კუმბერლენდის და დერგეიმის, მაღაროელებმა შეწყვიტეს გაფიცება და დადგენ სამუშაოზე. ცხადია მალე დანარჩენი რაიონებიც დაუბრუნდებიან ქვანახშირის მაღაროებს. ახალი ხელშეკრულება რომელიც დაიდება ქვანახშირის მრეწველებთან არაფერს კარგს არ აბამობს მაღაროელების სასარგებლოო. ხელშეკრულება დაიდება სამუშაო დღის გადიდების საფუძველზე და არა საერთო ინგლისის მასშტაბით, არამედ ცალკე რაიონებში.

ამრიგად მაღაროელების შვიდი თვის გმირული ბრძოლა მათი დამარცხებით დამთავრდა.

ინგლისის ბურჟუაზია კიდევ ერთხელ ზეიმობს თავის გამარჯვებას. დამარცხდენ მთამადნელები, მაგრამ ეს ოდნავ არ ამცირებს ამ დიდი გაფიცვის მნიშვნელობას. ძვირად დაუჯდა ის მთამადნელებს, მაგრამ მისი სახით მაღაროელებმა უდიდესი გაკვეთილი მიიღეს კლასობრივ მტერთან ბრძოლაში. თამამად შეიძლება ითქვას რომ დამარცხდენ არა მთამადნელები, არამედ მათი გამცემლური ბელადები, რომლებიც არიან მთავარი მიზეზი ამ დამარცხების. მთელი ამ შვიდი თვის შეუფერებელი ბრძოლის მანძილზე საბოლოოდ გამოაშკარავდა ინგლისის მუშათა პროფმოძრაობის ბელადების გამცემლური ბუნება. უკვე გაფიცვის დაწყების პიოველ დღიდანვე მათ პირი იბრუნეს ბურჟუაზიისაკენ და დაიწყეს თავისი მოღალატური მუშაობა და მხოლოდ მთამადნელთა მასების კლასობრივ შეუდრეკლობამ ხელი შეუშალა მათ სახიზღარ მიზნის მიღწევაში უფრო მალე ჩაეშალათ გაფიცვა. და აი მათი წადილი კიდეც შესრულდა. ინგლისის პროლეტარიატის მოწინავე ავანგარდი — მთამადნელები იძულებული არიან დანებდენ მტერს, ქედი მოიხარონ მის წინაშე და კვლავ აიღონ წერაქვი ხელში. მაგრამ არა დიდი ხნით. შვიდი თვის შეუპოვარმა ბრძოლამ წარუშლელი დაღი დასტოვა ინგლისის მუშათა მოძრაობაში. ის, ასე ვსთქვათ, ახალ ფურცელს ზლის ინგლისის მუშების კლასობრივ ბრძოლის ისტორიაში.

გაფიცვამ თვალი აუხილა მუშათა კლასს, გააღვიძა მასში ათიულწლეული მიძინებული რევოლიუციონური ენერგია, რომლის ჩაქრობის აწ ვეღარ შესძლებს ძირგამომპალი იმპერიალისტური ინგლისი.

პირიქით ეს რევოლიუციონური ენერგია ამიერიდან უფრო და უფრო გაიზრდება, რადგან დამარცხებულ მუშების წინააღმდეგ სასტიკი იერიშს მიიტანს გაძაღლებული ინგლისის ბურჟუაზია. გაფიცვის დამარცხებით კლასობრივი ბრძოლა ინგლისში კი არ შემწყდარა, პირიქით ის დღეიდან იღებს გაშწვავებულ ხასიათს. გამარჯვებული ინგლისის კაპიტალი სასტიკ შეტევას დაიწყებს მუშათა კლასის წინააღმდეგ, რაც კიდევ უფრო გაარევოლიუციონერებს ინგლისის პროლეტარიატს. ინგლისის პროლეტარიატი დამარცხდა, მაგრამ ეს არის დროებითი დამარცხება, რომელსაც მოყვება სოციალისტურ რევოლიუციის გამარჯვება ინგლისში.

—ე.

საბჭოთა სომხეთის ექვსი წლის თავი

ამიერკავკასიის ცაკის მიმართვა სომხეთის მშრომელებს

ექვსი წლის უკან დელეგაციის ხეობაში იფრიალდა საბჭოების წითელი დროშა, რომელიც გახდა ერთა თვითგამორკვევისა და გათავისუფლებულ შრომის გამოხატულება. გაუთავებელ ბრძოლისა და განადგურების წლები მშვიდობიან შემოქმედებითი მუშაობის წლებით შეიცვალა; ერთა შორის მხეცური მტრობის ადგილი ყველა ეროვნებათა მშრომელების ძმურმა თანამშრომლობამ დაიკავა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ამიერკავკასიის რესპუბლიკები გაერთიანდენ მტკიცე კავშირში და შეეგიდენ სოციალისტურ რესპუბლიკების ძლიერ ოჯახში.

წითელი სომხეთის მუშებო და გლეხებო! 6 წლის მშვიდობიან და დაფუძნებულ ... ...

საქართველოში.

დახმარება ლენინაკანს.

ახალ-ქალაქის მაზრის ყველა თემებში დაარსებულია კომისიები ლენინაკანის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად. ამ დღეებში კომისიამ მოაწყო საღამო, რომელზეც დასტოვა 1000 მანეთი წმინდა მოგება.

მზადება აღმოსავლეთისთვის.

ახალ-ქალაქის მაზრაში დამთავრდა აღმოსავლეთისთვის სამზადისი მუშაობა. მიღებულია ყოველივე საჭირო სახელმძღვანელოები. თემებში ჩატარებული იქნა განმარტებითი კამპანია აღმოსავლეთის მიზნების შესახებ.

სკოლები ტფილისის მაზრაში.

განათლების კომისარიატის ცნობით ტფილისის მაზრაში არსებობს სულ 179 სკოლა, მასწავლებელთა რიცხვი უდრის 844; მოსწავლეთა რიცხვი კი აღწევს 25,365-მდე.

დახმარება

ქ. ტფილისის აღმასკომმა გადაგზავნა ლენინაკანში 2 ათასი მანეთი მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

სამხრეთ-ოსეთის ცაკმა გადაგზავნა ამავე მიზნით 500 მანეთი.

ახალი ხიდი.

ოზურგეთის გზაზე, მდინარე კოცხურის ხეზე შენდება რკინის გზის ხიდი; ხიდი იქნება ქანზე აგებული ხიდის მსგავსი, იმ განსხვავებით, რომ ოზურგეთის ხიდის ბოლოები გაკეთებული იქნება ქვა-სვეტად და ოთხ რკინა ტანობის გან.

ამიერკავკასიის რკინის გზის

გამგეობამ გადასწყვიტა, რათა ჩვენს ქვეყანაში ააგოს სახოგადოდ ფასიანი ... ...

საუბარი
ახალწვეულებთან

მეთაური და წითელ არმიელი

ჩვენი წითელი არმიის მეთაური წითელ არმიელისაგან განირჩევა მხოლოდ სამსახურის თანამდებობისაგან. მათ არ ასხვავებს არც „ჩინი“ და არც „კეთილშობილება“. რეგსამხაბჭოს თავჯდომარე ამბ. ვოროშილოვი ისეთივე ქარხნის მუშაა, როგორც ჩვეულებრივი წითელ არმიელი—მუშა. თვითეულ წითელ არმიელს შეუძლია მიაღწიოს სამხედრო მეთაურის უმაღლეს საფეხურს, თუ კი ისწავლის.

ეს გარემოება ჰქმნის ისეთ უბრალო ურთიერთობის, როგორიც ჩვენს წითელ არმიაში არსებობს. ეს ჰქმნის ერთ შეკავშირებულ ოჯახს, საბრძოლო ძმეირებას, რაიც ასე აცვიფრებს ჩვენს მომძალეებს.

მეფის არმაჲში მეთაურებად იყო გაბატონებული კლასების წარმომადგენელები. მათთვის ჯარისაკაცი პირუტყვი საქონელი იყო.

წითელ არმია ღებულობს მეთაურებს მუშებისა და გლეხების წრეებიდან.

ჩვენი მეთაურები წვრთნიან და ასწავლიან წითელ არმიელს ისე, როგორც ამას მშრომელთა ინტერესები მოითხოვს; მშრომელთა ინტერესები კი მოითხოვს, რათა მეთაურებმა აღზარდონ შეგნებული, პოლიტიკურად განვითარებული, ადამიანის უფლების შემგნები მეომრები, რომლებიც საბჭოთა ძალაუფლების ღირსეული დამცველები უნდა გამოვიდენ.

წითელ არმიაში არსებობს მტაკიცე დისციპლინა. თვითეული ხელქვეითი ვალდებულია უსიტყვოდ ასრულოს უფროსების განკარგულებანი და ბრძანებები.

მეთაური მოითხოვს მხოლოდ იმას, რაც გათვალისწინებულია წესდებებსა და ბრძანებებში. ის ასრულებს საბჭოთა ხელისუფლებია დადგენილებებს. თვითეული განკარგულება ეს არა მეთაურის დაეინებაა, არამედ ის, რასაც მშრომელთა საერთო ინტერესები მოითხოვენ. ვინც ამას არ ასრულებს, ის მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ მიდის.

გარდა ამისა დისციპლინა წარმოადგენს განსაზღვრულ წესრიგს. ასეთი წესრიგის გარეშე ოჯახშიც კი არ შეიძლება ცხოვრება. უამისოდ არმიაც ვერ იარსებებს.

დისციპლინის ასრულება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მეთაურის გეშინოდეს.

მეთაური უფროსია, იმავ დროს უფროსი ამხანაგი და აღმზრდელი.

ის ზრუნავს წითელ არმიელზე, მის განვითარებაზე, მის საზოგადოებრივ ზრდაზე. ის ეხმარება წითელ არმიელს ყოველ საქმეში. ხოლო რაკი ეს ასეა, წითელ არმიელი არ უნდა ჰფარავდეს რაიმეს მეთაურის წინაშე.

თავისუფალ დროს მეთაური საუბრობს, ხუმრობს და ერთობა წითელ არმიელებს შორის. მაგრამ აქაც საჭიროა გარკვეულობა, ვინაიდან არის შემთხვევები, რომ ასეთ მომენტებში ზოგიერთი სრულიად იკიწყებენ, რომ მეთაური თავისუფალ დროსაც მეთაურია.

ჰ—კი.

ჩვენ ვივლით ლენინის გზით.

26 ნოემბერს 1-ლ ლეგიონში გვესტუმრა დივიზიის სამხკომი ამხ. დევდარიანი. მან დაათვალიერა ჩვენი ლეგიონი და ისაუბრა წითელარმიელებთან.

ამავე დღეს მოწვეულ იქნა ლეგიონის მასშტაბით პარტ-და კომკავშირის გაერთიანებული კრება მე-15 პარტკონფერენციის შედეგებზე. მოხსენება გააკეთა დივიზიის სამხკომმა ამხ. გ. დევდარიანმა. ის შეეხო ინდუსტრიალიზაციის წინ წაწევას, მეურნეობის განვითარებას, კაპიტალიზმის სტაბილიზაციას, შინა პარტიულ მდგომარეობას და სხვა. ამხ. დევდარიანმა მოიყვანა სათანადო ციფრები იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ ყოველივე დაოგში წინ მივიწევთ და გვაქვს მიღწევები. მოხსენებას კრება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. დასასრულ ამხ. მომხსენებელმა კრებას მოუწოდა, რომ შეისწავლოს მე-15 პარტკონფერენციის და სხვა პარტიის ცეკას პლენუმის დადგენილებები, რომელიც მოგვცემს ნათელ წარმოდგენას იმაზე, თუ რას მოითხოვს გზა-აბნეული ოპოზიცია. მომხსენებელი ამბობს, რომ ოპოზიცია აცდა ლენინურ გზას, ან დაკარგა ყოველივე ´რწმენა ლენინიზმისა და სურს თავზე მოხვიოს პარტიას ტროცკიზმი, რომელიც არის წვრილ ბურჟუაზიული ადგილი და დამღუპველი ჩვენი პარტიისა. ნამდვილ ლენინურ ხაზს ატარებს ჩვენი შტაბი ლენინური ცეკა.

„გაუმარჯოს ჩვენს ხელმძღვანელს ლენინიზმის სწორი ხაზის ატარებელს ლენინურ ცეკას“. ამბ. დევდარიანის სიტყვას ფარავს ტაში და ვაშას ძახილი. მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობას ღებულობენ რამოდენიმე ამხანაგები, რომლებიც თავის სიტყვაში გმობენ ოპოზიციის ხაზს და კიცხავენ.

კრებამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის კომუნისტების და ახ. წ. კომკავშირის გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა რა ამხ. გ. დევდარიანის მოხსენება მე-15 პარტ-კონფერენციის შედეგებზე ადგენს: ლეგიონის პარტ-ორგანიზაცია და კომკავშირლები მთლიანად იზიარებენ მე-15 პარტ-კონფერენციის დადგენილებას და მტაციედ გაატარებენ მას ცხოვრებაში.

კრება აღნიშნავს, რომ მე-15 პარტკონფერენციაზე ოპოზიციონერ ბლოკმა ერთხელ კიდევ დამტკიცა თავის ლენინიზმიდან გადახრა და დაშორება.

კრება სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ოპოზიციამ განიცადა საბოლოო კრახი მე-15 პარტკონფერენციაზე, და ჩვენმა პარტიამ შეინარჩუნა ლენინური მთლიანობა.

კრება კატეგორიულად მოითხოვს ოპოზიციიდან უარყონ არა მარტო ფრაქციული მუშაობა, არამედ თავისი არა ბოლშევიკური შეხედულებები პრინციპიალურ საკითხებზე, ვინაიდან ოპოზიციის აზრებს არაფერი არ აქვს საერთო ლენინიზმთან.

კრება ბოლშევიკურ სიმტკიცით აღიარებს, რომ გაატარებს ცხოვრებაში ერთად-ერთ მტაციე ხელმძღვანელის ლენინური ცეკას დადგენილებებს და აწარმოებს მტაციე იდეურ ბრძოლას ოპოზიციის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ბოლშევიკურ შეგნებას და თავდაჭერას.

გაუმარჯოს პარტიის მტკიცე ხელმძღვანელს ლენინურ ცეკას.

რეზოლიუცია მიღებულია ერთხმად, რომელსაც ფარავდა ტაში და ვაშას ძახილი.

ს. იმნაიშვილი.

ახალგაზრდა წითელ არმიელები ყაზარმაში

ლენკუთხეები ელიან ახალწვეულებს

მე-2 ლეგიონი.

ჩვენი ახალწვეულები ჯერ კიდევ კარანტინში იმყოფებიან, სადაც დიდი სიმხიარულე ტრაიალებს.

ძველი წითელ არმიელები მოუთმენლად მოელიან ახლების ყაზარმაში გადმოსვლას.

ყაზარმა გამხიარულდება, სიცოცხლე მოიმატებსო—გაიძახიან ამხანაგები.

კარანტინში უკვე გამოუშვიათ კედლის გაზეთის მორიგი ნომერი, რომელშიდაც უმთავრესად გაშუქებული იყო წითელ არმიელების მოვალეობა, საერთოდ ჩვენი მუშაობა და მეცადინეობის სხვა და სხვა სახეები. მივაქცევდით ახალწვეულების ყურადღებას განსაკუთრებით სამხედრო საქმის მნიშვნელობასა და დისციპლინის დაცვის აუცილებლობისაკენ.

მთელი დღის განმავლობაში ჭიანქვებივით ეხვეოდენ გაზეთს ახლები და ყურადღებით კითხულობდენ. წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი საკმაო. მიღებულია ზომები პირველ რიგში იქნეს დაწყებული მათთან ამ მხრივ მეცადინეობა. ძველი წითელ არმიელები მომზადებული არიან ლენკუთხეებში მუშაობისათვის, უცდიან მხოლოდ თუ როდის განთავისუფლდებიან ახალწვეულები კარანტინიდან.

ვ. ღ.

ალდერა წითელ არმიაში.

საბჭოთა კავშირის რეესპუბლიკებიმ დაადგინა, მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერასთან ერთად, რომელიც დანიშნულია ა. წ. 17 დეკემბერს, „ჩატარებულ იქნას აღწერა წითელ არმიაშიც.

წითელი არმიის აღწერა ჩატარდება იმ მიზნით, რათა ზედმიწევნით მოხდეს კავშირის მოსახლეობის აღწერა და მიღებულ იქნას ცნობები, რომლებიც აუცილებელია სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატისთვის წითელი არმიის აღმშენებლობისა და მართვისთვის.

ამ აღწერით სამხედრო-საზღვაო კომისარიატი შეჭკრებს დამატებითი ცნობებს, რაც აუცილებელია მხოლოდ სამხედრო სარდლობისათვის.

არმიაში აღწერა ჩატარებულ იქნება თვით ნაწილის აპარატის მიერ სტატისტიკის ორგანოების თანამშრომლობით.

რეგისტრატორები დანიშნულ იქნებიან თვითეულ ასეულში (ან სათანადო ნაწილში), ყოველ 100 ასაწერზე ერთი კაცი. რეგისტრატორები ავსებენ პირად ფურცლებს და ადგენენ ჯამის ´ნუსხებს.

სამხედრო მსახურებს აღწერის დროს მუშაობაში მიეცემთ შრომის ფასი სამოქალაქო უწყების აღმწერთა თანაბრად, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ხარჯზე.

თვითეულ სამხედრო მსახურზე შევსებულ იქნება ცალკე პირადი ფურცელი 16 საკითხით.

სამხედრო მსახურის პირად ფურცელში იქნება შემდეგი ცნობები: 1) სამხედრო მხარე, ჯარის გვარი, რომელშიაც სცხოვრობს აღსაწერი; 2) გვარი, სახელი, ნინოვანობა, ეროვნება და მშობლიური ენა; 3) დაბადების ადგილი, სოციალური წარმოშობა და ოჯახური მდგომარეობა; 4) წერა-კითხვის ცოდნის დონე, განათლების ცენზი სამხედრო ცოდნის განსაკუთრებული მითითებით; 5) პარტიულობა; 6) რა მუშაობას ეწეოდა წითელ არმიაში შესვლამდე; 7) სამხედრო მსახურთა რიგილ შემადგენლობას ეკუთვნის; 8) დრო და ადგილი სამხედრო სამსახურში მიღებისა და სხვა.

აღწერის მნიშვნელობა დიდია, ხოლო მასალა, რომელიც დაგროვებულ იქნება აღწერის შედეგად, წარმოადგენს დიდ ღირებულებას არმიის სამმართველოს აპარატისთვის.

მაგრამ აღწერის შედეგებს განსაზღვრული ღირებულება ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ თვითეული სამხედრო მსახური გაიმსჭვალება შეგნების აუცილებლობით მისცეს თავის შესახებ ზედმიწევნითი და სრული ცნობები ფურცლის ყველა საკითხებზე.

აღწერის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. ნაწილების მეთაურებმა და უფროსებმა უნდა იზრუნონ იმის შესახებ, რომ ქალაქებში ჩატარებული იქნას განმარტებითი საუბრები აღწერის მნიშვნელობის შესახებ.

გ. ვ.

დიდ ინტერესს იჩენენ

მე 3 ლეგ. მე-2 ასეული.

ხსენებულ ასეულში მოსული ახალწვეულთა შორის იმ თავი თვე იქნა დაწყებული ენერგიული მუშაობა. ძველი წითელ არმიელები ყოველთვის გვერდში უდგანან მათ და უხსნიან სამხედრო სამსახურის მნიშვნელობასა და თვისებებს, ყაზარმულ ცხოვრებასა და სხვა.

ახალწვეულებს დიდი დაინტერესება ეტყობათ. ზედმიწევნით იცავენ სამხედრო დისციპლინას. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მათგანს გვერდი აევლოს რაიმე განკარგულებისთვის და ან გაპარულიყოს სადმე.

განსაკუთრებით დიდი სიხარულით მოელიან სასკოლო მეცადინეობის დაწყებას წერა-კითხვის შეს სწავლად.

მალე დაწყება ამხანაგებთან ავრეთვე სამხედრო მეცადინეობა. ჯერ-ჯერობით ვაცნობთ წესდებებს.

ს. პაპიაშვილი.

ამოცანა შესრულებულია.

1-ლი ცალკე საკავშირო ასეული.

როგორც სხვა ნაწილებში, ისე ჩვენთან მოვიდნენ ახალწვეულები. მათი შემადგენლობა კარგი არის. პირველდაწყებითი მუშაობა მიმდინარეობდა კარანტინში, მაგრამ ეს მუშაობა არ ყოფილა ზემოდან მოხვეული, არამედ მოითხოვდენ თვით ახალწვეულები. ამ სახით სხვა მუშაობასთან ერთად ჩატარებულ იქნა სხვა და სხვა საუბრები, მაგალითად: სკოლის გარეშე მუშაობის მნიშვნელობა და სხვა. აგრეთვე თვით ამხანაგების მოთხოვნილებით ჩატარებულ იქნა გასამართლება დანიელ ჭონქაძის ნაწარმოების „სუროამის ციხე“-ს გვირის ვარდუასი. გასამართლებამ დიდი ინტერესი გამოიწვია და საუცხოოდაც ჩატარდა. საუცხოოდ ჩატარდა აგრეთვე ფიზკულტურის კვირეული.

საკარანტინო მუშაობა დამთავრდა. ახალწვეულნი გადმოყვანილნი არიან უკვე ასეულში; მათ დიდი სურვილი აქვთ სკოლის გარეშე მუშაობაში მონაწილეობის მიღების. ჩვენ ამასაც შევძლებთ, ხოლო საჭიროა, რომ მას ხელი შეუწყოს უნც. მეთაურებიდან დაწყებული უფროსებიდან ლენინამდე ყველამ, მაშინ ჩვენი მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნება. საჭიროა აგრეთვე, რომ პ/გ-ის სკოლის გარეშე მუშაობის ინსტრუქტორი გაგვიწევდეს ხელმძღვანელობას არა მარტო თათბირებით, არამედ ტეხნიკურად სხვა და სხვა საქმეების მოგვარებით და მათ შორის კი ქართული ლიტერატურის მოწოდებით სკოლის გარეშე მუშაობის დარგში.

საკარანტინო მუშაობის ამოცანები შევასრულეთ ბრწყინვალედ. ასევე შევასრულებთ მომავალ მუშაობის ამოცანებსაც.

ს. ვაშაძე.

ჩვენი საქმიანობა

მე 2-ე ლეგ-ონი

ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ ლეგიონმა წარმატებით ჩაატარა როგორც შვებულებაში გაგზავნების კამპანია, ისე ახალწვეულების მიღების სამზადისი. უმთავრესად სწარმოებდა ნაწილში მომუშავე მუშაკების გადამზადება ახალწვეულების შესაფერად. მოწყობილი და წესრიგში იქნა მოყვანილი ყველა კულტურული დაწესებულებ´ები. ამ ანის განმავლობაში ლენინის კუთხეების შეკეთებასთან ერთად შესდგა აქტივისტთა ჯ-უფი და მათთვის დაარსებული იქნა სემინარი. ასეულების ლ´ენინის კუთხეების გახსნა გადახალისების შემდეგ საზეიმო ხასიათს ატარებდა.

სკოლის გარეშე მუშაობა ამოცანებ´ის ´ბაზის ადგილი ლეგიონში. ყოველ´ვარი ზომეები მიღებული რათა ეს მუშაობა თავის სიმაღლ´ეზე იქნეს დაყენებული ნაწილში.

ლეგიონის კლუბში 16 სხვადასხვა ხასიათის კაბინეთია მოწყობილი. ამ მოკლ´ეხანში დაიწყობა ყველა წრეები ისევ´ ნორმა. უკ´ვდ´ათ ახალწვეულების კარანტინიდან ყაზარმაში გადმოსვლის.

კლუბის საზეიმო გახსნას დაესწრო აპარატ´ის სამეთაოთა და პროფორგანიზაციების წარმომადგ´ენ´ლ´ები და ´ბათუმის საჭოს წარმომადგ´ენ´ლ´ი, სამ´ეშ 500 მანეთი დახმარება გადასცა ლეგიონს სკოლის გარეშე მუშაობ´ისთვის.

სიმხეირი ლალიკ

იურიდიული საკონსულტაციო კომისია.

ქართულ დივიზიების სამხედრო პროკურატურასთან დაარსდა და ამ მოკლე ხანში მუშაობას შეუდგება იურიდიული საკონსულტაციო კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედიან: წარმომადგენელი სამხედრო პროკურატურისა (ხელმძღვანელი), პოლიტგანყოფილების წარმომადგენელი, დივიზიის მომარაგების განყოფილების და ფინსახკომის და მიწადმოქმედების სახ. კომისარიატების წარმომადგენელები. აღნიშნული კომისია იმუშავებს ქ. ტფილისში მდგომ ქართულ სამხედრო ნაწილებში. ასეთივე კომისია დაარსებულ იქნა ქუთაისში მდგომ ქართული სამხედრო ერთეულისათვის. აღნიშნულ საკონსულტაციო კომისიების მუშაობას უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ისინი მიაწვედიან ყველა დაინტერესებულ პირებს ჩვენი უფლებამოსილებისა და წითელარმიელთა შემადგენლობიდან სწორ კანონიერ და ამომწურავ პასუხს ყველა წამოჭრილ კითხვებზე და ამ მხრივ აშკარაა ამ კომისიების მუშაობა საგრძნობლათ შეუწყობს ხელს, როგორც წითელარმიელთა გათვითცნობიერებას საბჭოთა კანონმდებლობაში, ისე რევოლიუციონერი კანონიერების განმტკიცებაში, რაც ერთ უმთავრეს ამოცანათ აქვს დასახული ჩვენს პარტიას და ხელისუფლებას.

არავისათვის არ არის დაფარული ის გარემოება, რომ რევოლიციონერი კანონიერების განმტკიცების საქმეში ჯერჯერობით სუფველაფერი რიგზე არ არის. ხშირად ხდება ხოლმე ამა თუ იმ წითელ მოლაშქრის თუ უფ. შემადგენელი პირის კანონით მინიჭებულ უფლებრივი ნორმების დარღვევა, როგორც გადასახადის, მიწად მოწყობის, ისე მომარაგების თუ სხვა დარგში. ამ უკანასკნელებმა არ იციან თუ როგორ იმოქმედონ, როგორ აღადგინონ მათი დარღვეული უფლებრივი ნორმები; რადგანაც ჩვენ რთულ კანონმდებლობაში სათანადოთ გარკვეულნი ვერ არიან, ეძებენ გამოსავალს, აღწევენ ხშირად მიზანს და ცუდი შთაბეჭდილების ხდებიან ჩვენს კანონიერებაზედ.

მეორე მხრივ ვთქვათ კანონი დარღვეული არ არის, მაგრამ ამა თუ იმ პირს ის დარღვეული ჰგონია, აღიძვრის საჩივარი, ჩაღდება ენერგია, ბოლოს კი ირკვევა, რომ საჩივარი არა კანონიერად არის აღძრული. ასეთ მოვლენებს რომ მომავალში ადგილი აღარ ექნეს, დამხმარეს როლში გამოდის იურიდიული საკონსულტაციო კომისია. ის ყოველ შემთხვევაზე გასცემს ამა თუ იმ კანონზე დამყარებულ პასუხს, და ეს პასუხი შეიქნება საბუთი იმისა, უნდა იქნეს გასაჩივრებული აღძრული საკითხი თუ არა. ამასთანავე ერთად ეხლანდელი საკონსულტაციო კომისია განირჩევა შარშან არსებულისგან კიდევ იმით, რომ კომისია თვით მიდის ნაწილში და აწყობს კითხვა-პასუხის საღამოებს. თითეულ სამხედრო ერთეულმა წინასწარ იცის თუ როდის გაიმართება საკონსულტაციო კომისიის სხდომა. ერთი კვირით ადრე თითეული ნაწილი აგროვებს წერილობითი შეკითხვებს და აგზავნის სამხედრო პროკურატურაში. პროკურატურის წარმომადგენელი ანაწილებს საკითხებს თავისი სპეციალობის მიხედვით და უგზავნის კომისიის წევრებს. ეს უკანასკნელები ამზადებენ სწორ და ამომწურავ პასუხებს და უკვე მომზადებული მდგომან სხდომაზე პასუხის გასაცემათ. სულ თბილისში ჩვენ გვაქვს ცხრა სამხედრო გაერთიანება, ქუთაისში კი—ოთხი. საბანაკო პერიოდის დაწყებამდე შემუშავებული გეგმის მიხედვით კომისიამ ა/წლებში უნდა მოაწყოს 32 კითხვა-პასუხის საღამო, ე. ი. თვითეულ სამხედრო ერთეულში მოიწყობა 4 სხდომა. მუშაობა რთულია მაგრამ საჭიროა, და აუცილებელი და უნდა ეიფიქროთ, რომ როგორც საკონსულტაციო კომისიის წევრები, ისე სამხედრო ერთეულები ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს ამ საქმეს, რაც აუცილებლათ ნაყოფიერი იქნება და დიდ სარგებლობას მოუტანს წითელ ჯარის იურიდიულათ გათვითცნობიერებისა და მათში რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების საქმეს.

დ. ხიხაძე.

ჩვენი მუშაობა ახალწვეულებში

1-ლი ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის ახალწვეულები ჯერ კიდევ იმყოფებიან კარანტინში. ახალ წვეულების დიდი პროცენტი, კულტურული პოლიტიკური გაწერთნის დონით მაღლა დგას. მათ აინტერესებთ პირველ ყოველ-ნაირ სწავლა, როგორც პოლიტიკური აგრეთვე სპეციალური სამხედრო. არიან წერა კითხვის უცოდინარებიც. მათი პირველი სურვილია წერა კითხვის შესწავლა და სამხედრო საქმე.

კარანტინი შესაფერისად არის მოწყობილი. იქ გამუდმებით ტრიალებს უმცროსი და პოლიტ უფ-შემადგენლობა, რომლებიც ახალ წვეულებს აცნობენ ყაზარმულ წესს (შინა სამსახურის წესდება), დისციპლინალურსა და სხვა. ტარდება სისტემატიურად სანიტარული და პოლიტიკური საუბარი.

სწავლობენ პირველ ეარჯიშს. გადიან ელემენტარულად თოფის აღწერას. ეცნობიან ასეულის წესებს და პოლიტ სამეურნეო მუშაობას. ეცნობიან საკლუბო პარტკავშირს და თვით მომქმედ ორგანიზაციებს.

ბ. ვარდია.

კარგად გვეპყროგბიან

1-ლი მესანგრეთა ასეული.

ჩვენმა მისვლამ ყაზარმაში დიდი სიხარული გამოიწვია ძველ წითელ არმიელებსა და მეთაურთა შემადგენლობის შორის. თითეული მათგანი სცდილობს გადმოგვცეს თავიანთი ცოდნა. კარანტინშივე გვაწვდიან გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს; ატარებენ ჩვენთან საუბრებს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე და გვიკითხავენ პოლიტსაათებს. აქედანვე ვგრძნობთ, რომ წითელი ყაზარმა დიდ როლს ითამაშებს ჩვენი გათვითცნობიერების საქმეში.

მომავალი ჩვენი მუშაობის გეგმა ნაწილში ჩვენთვის უკვე ნათელია. თითეულ ჩვენგანს მეტად აინტერესებს სამხედრო სპეციალ საქმეში მეცადინეობისა და მუშაობის დაწყება. ამას დიდი სიხარულით მოველით.

სხვა მხრივ ყოველნაირად ვართ დაკმაყოფილებული. სასმელ საჭმელი უხვად და ნოყიერი გვაქვს.

სისუფთავე საუცხოოდ არის დაცული. ახალწვეულები ეხლავე შეუდგენ ყოველგვარი განკარგულების ასრულებას.

დისციპლინის საკითხი ჩვენთვის ერთი უმნიშვნელესი საკითხთაგანია. ჩვენ ვგრძნობთ ამ მხრივ პასუხისმგებლობას.

ახალწვეული კ. ჭოხონელიძე.

სახელმძღვანელოები ბლომად მოგვაკოვეგა.

მე-3 ლეგიონი

ლეგიონის საბჭოს ხელმძღვანელობა მდიდარია სახელმძღვანელოებით, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. საბჭოს ხელში 7.000 წიგნი მოგვეპოება. ამათგან 55 პროცენტი პოლიტიკური ხასიათისაა და დანარჩენი სხვა და სხვა.

ბიბლიოთეკაში ჩამოყალიბებული იქნა ჯგუფები, ახალწვეულთა შორის სამუშაოდ. ამ ნაგბს დაწერილებით ეცნობათ თუ როგორ უნდა მოეკიდონ ახალწვეულებთან მეცადინეობას. გაცნობილი არიან აგრეთვე ლენკუთხეებში მუშაობის გეგმას და მრავალი სხვა. ამნაირად საერთო საბჭოს ბიბლიოთეკამაც შესაფერი წვლილი შეიტანა.

რ. ყუა.

ადგილობრივ დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირი გვაქვს

მე-4 ლეგ. 9-ე ასეული

ასეულის შემადგენლობამ მჭიდრო კავშირი დაიკავა ადგილობრივ სამზრო დაწესებულებასთან. ხშირად იმართება მოსახსენებელ საღამოები სამზრო სამუშაოებზე. დახმარება უმთავრესად ნივთიერია.

საერთოდ სამზრო დაწესებულებებთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს ნაწილს, რაც ძალიან უწყობს ხელს ჩვენს მუშაობას.

იმერლიშვილი.

ნაწილების ცხოვრებიდან

1-ლი მესანგრეთა ასეულში

ამ რამოდენიმე ხნის წინად არიყო სასადილო მაგიდები, სკამები და სხვა საჭირო და აუცილებელი საგნები, რასაც სათანადო ყურადღება მიექცა ნაწილის მესვეურების მიერ. ამ ყმად შეძენილია ყველაფერი. ქვაბუნების მაგივრად გვაქვს თეფშები, მოიწყო სამზარეულო და სხვა. დღითი დღე უმჯობესდება ნაწილის პირობები. საჭმელი მეტად ნოყიერი და სამყოფი კეთდება. სამნეო ნაწილი ამნაირად ენერგიულად მუშაობს ნაწილის კეთილ მოწყობისათვის და იმედია არც შემდეგში შეასრულებს ამ მუშაობას.

ვ. ცინცაძე.

მე 3 ლეგიონში ყოველთვიურად იმართება წარმოდგენები. უკანასკნელად ამ რამოდენიმე დღის წინად იქნა დადგმული წარმოდგენა, რასაც მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ახალწვეულებზედაც. არა სასიამოვნოთ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის გარემოება, რომ წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ევროპიული ცეკვა თამაში; წითელ არმიელებმა ითხოვეს, რათა მუსიკას ლეკური დაეკრა და მათაც ეცეკვათ, მაგრამ ეს არ მოისურვეს.

არაა კარგი ასეთი მხიარულებიდან წითელ არმიელების გათხვა, რასაც იმედია მომავალში მაინც აღარ ექნება ადგილი.

დამნახვლი.

ვასამხედროებთ მოსახლეობას

მე-4 ლეგ. მე 5 ასეული

კარვობის დამთავრებიდან მუდმივ ადგილზე დაბრუნების შემდეგ ჩვენი ასეული კვლავ შეუდგა ადგილობრივ და ახლო მახლო სოფლებში სამხედრო წრეების ჩამოყალიბების საქმეს. ასეულმა მალე მიაღწია მიზნს და დაარსებული იქნა რამოდენიმე სამხედრო წრე. ამ ყმად ასეულს აქვს სული ხუთი სამხედრო კუთხე და მათთან არსებული სამხედრო წრეები. თითეული მათგანში სისტემატიურად მიმდინარეობს მეცადინეობა, მიმენელთა რაცხვა თანდათან მატულობს.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენენ ადგილობრივი ქუშები და სოფლის ახალგაზრდობა. მეცადინეობის დროს მრავალ შეკითხვებს იძლევიან. ყველა წრეებში ჯერ ჯერობით ასეულს აღარ ცხოვრობ ყავს 200 წევრი. აქედან 70 პროც. კომპარტიასა და კომკავშირის წევრებია, დანარჩენი კი უპარტიონი.

ვ. ხარშილაძე.

ადგილობრივი ხელისუფლება გვეხმარება

მე-4 ლეგიონის 3-ე ათასეული

წერტილზე დაბრუნებასთანავე ათასეულის უფ-პოლიტ-შემადგენლობა შეუდგა ნაწილის ტეხნიკურად მოწყობის საქმეს. მოიწყო კოლუბი, სამკითხველო და ჩამოყალიბებული იქნა ლენინის კუთხეებიც ერთად სხვა და სხვა ხასიათის ბირთვები და კუთხები. ათასეულის მთელი შემადგენლობა ენერგიულ მ ნაწ ლობას ღებულობდა ამ მუშ ობაში.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ დიდი დახმარება გაგვიწია ათასეულს მოწყობაში შესაფერი თანხების გაღებით. საერთოდ ადგილობრივი ხელისუფლება დიდ ყურადღებას გვაქცევს.

იმედია ასეთი ზრუნვა არც შემდეგში შესუსტდება.

ისარი.

ჩვენი სამზადისი ზვევამდელთა შეკრებისათვის

მე-6 ლეგიონის მე 3 ათასეული.

ათასეული კარგა ხანია შეუდგა სამზადისს ზვევამდელთა შეკრებასათვის. ყველა ცოტა ულიარები, რომლებიც კი მოვიდენ ცენტრიდან მთელი 100 პროც. სრულდება. ნაწილმა გამოყო მომზადებულ ამხანაგების კადრი, რომლებიც დანაწილებული იქნენ ყველა წერტილებზე საუბრების ჩასატარებლად. ჯგუფების ხელმძღვანელად გამოყოფილი იქნა აგრეთვე 18 ამხანაგი. მათშორის უმეტესობას ადგილობრივი კომკავშირელები შეადგენენ, დანარჩენი კი ათასეულიდან არიან გამოყოფილი. ამხანაგებთან კარგა ხანია დაიწყო უკვე მეცადინეობა. ჯერ-ჯერობით ისინი ითვისებენ სამეცადინო კონსპექტების შედგენის მეთოდებს.

ათასეულის პოლიტშემადგენლობას კავშირი აქვს ადგილობრივ პარტორგანიზაციასთან. ყოველგვარი მუშაობა ტარდება გაერთიანებული ძალებით და სრული თანხმობით. ამასთანავე შეთანხმებით იქნა შემუშავებული ზვევამდელთა შორის მომავალი მუშაობის გეგმა.

დ. ჭანკვეტაძე.

სამსკორო! ნუ შეასუსტებ წერილების წერას. მოიწერე რობორ ტარდ ბა რედკოლეგიების და პარტახკომკავშირის უჯრედების მუშაობა. სწერეთ ახალწვეულთა მიღებ სათვის ყაზ რმ ში წარმოებულ სამზ დისზე.

მოსპეთ ნაკლულევანებანი

გაგვინათეთ ყაზარმები.

მე-2 არტლეგიონის მე-4 საგუბიცო ბატარეაში უკვე გადავიყვანეს კანტინებიდან. დაგვწყეს მეცადინეობა, როგორც სამხედრო ხასიათის ისე პოლიტიკური და სხვა.

სამწუხაროდ საღამოობით მოკლებული ვართ განათებას, რაც გავშლის ხელს მეცადინეობაში. ლენინის კუთხეში არაფერი არ კითდება უსინათლობის გამო.

კარგი იქნება ნაწილის კომენდანტი შესაფერ ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას და მოიგვარებდეს განათების საქმეს.

შ. კარგარეთელი.

არა გვაქვს ჩაის ასადუღებელი ჭურჭელი.

ლეგიონს სამნეო ნაწილში არა გვაქვს ჩაის ასადუღებელი ჭურჭელი. ჩვეულებრივად წყალი დუღდება საღილის დასამზადებელ ქვაბებში. ჩაის წყალს „ბორშის" სუნი აქვს ამის გამო. ომეტესობა წყალს ვერ ხმარობს ამის გამო. რა გასაკვირდა ასე, რომ ერთი სამხარეულო შეიძინოს ასეულმა?

ცოდ მ გვეკვ სათანადო ჭურ ჭელი, წინა ღამდეგ შემთხვევაში სხვა ნაწილზე მაინც მიგვაწყვინონ ადუღებული წყალის მისაღებად.

ზ. საღრიჩაშვილი.

პასუხი შეკითხვებზე

— ლ. კ. თქვენმა ნაწილის უფროსმა მიმართოს არსენალის ადმინისტრაციას, რომ, თქვენ, როგორც მოხელეს ადგილი მოგცეს თუ ადგილი თავისუფალი იქნა პირველ რიგში უნდა მოგეცეთ, როგორც წ. არმიელს.

— წითელ ხეველს. სასწავლებელში, სამსახურის შემდეგ, შეგიძლიათ სიარული მხოლოდ უფროსის ნებართვით (ბრ. № 1520)

— გოგიტიძეს. თქვენ როგორც სჩნანს, ავადმყოფობის გამო სამწყობროს მაგივრად მომხვდარხართ უმწყობროში, ამიტომ თქვენ გამოცდები უნდა ჩაბაროთ ადამშემადგენლობაზე. გამოცდების ადრეს ნიშნავს დივიზია, რაც ეცნობება თქვენს ნაწილს.

— ბოკბრიკეს. თქვენ უნდა ჩაბაროთო გამოცდები თადარიგის მეთაურზე.

— გოგის. საშუალო სკოლა დამთავრებული, რომ გამოცდებზე არ დაუშვას ამის უფლება ნაწილის უფროსს არ აქვს, პირიქით მან უნდა აიძულოს, რომ გამოცდები თადარიგის მეთაურზე ჩაბაროს.

— სამხარაძეს. მეთაურს არ აქვს უფლება რომ წ. ა. თავის კერძო საქმე გაიკეთებიოს.

— ხარებაშვილს. სავალდებულო სამსახური ორი წელია, როცა ამას შეასრულებთ, მაშინ წახვალთ უკვდავ შეებულებაში.

— გელაშვილს. თუ თქვენი ნაწილი აკმაყოფილებს ბრძანებას № 367—27 წ. მაშინ გაშვებული იქნებით, როგორც დაბადებული 1903 წელში.

— დარახველიძეს. თუ თქვენ ზედმეტი მსახური ხართ, მაშინ ჯამაგირი გეკუთვნით შტატის მიხედვით. არცერთი სამკუთხედი არ გეკუთვნით.

— კოსტავას. ნაწილმა უნდა გაგაგზავნოთ. სამსახური ორი წელია.

— ა—ძეს. ვადამდე განთავისუფლებული არ იქნებით (ბრ. № 367—26 წ.

— ჩიკაშუას. ვალდებული ხართ გადიხადოთ სამგზავრო ბილეთის ფასი.

— სოფოოშვილს. მიწის საკითხის შესახებ უნდა მიმართოთ სახალხო სასამართლოს.

— გასანაშვილს. ვინაიდან თქვენ სავალდებულო სამსახური გაათავეთ, ამიტომ შეგიძლიათ ზედმეტ მსახურად დარჩენა № 505—26 წ.

— ბ—შვილს. ჯამაგირს ღებულობთ კანონიერად, რადგან თქვენ ეხლა დროებით ასრულებთ ამ თანამდებობას.

— მოლაშქრეს. თფილისზე უფრო ცივ ადგილებში მყოფ ნაწილებს ეძლევათ თბილი საცვლები.

— შანიაშვილს. არ მოგეცემათ, რადგან თქვენს ტანსაცმელს ტარების ვადა არ გათავებია.

— მიხალისეს. ნამდვილ სამსახურში არ ჩაგეთვლებათ.

— ჩათაშვილს. მიმართეთ თქვენს უფროსს, რომლისაგან მიიღებთ ახსნა-განმარტებას.

— ს. ე. თქვენი წერილი გაუგებარია, მოიწერეთ გარკვეულათ, თუ რას კითხულობთ.



ფითელს. თქვენი წერილი „როგორ მოვიქცეთ" არ დაიბეჭდება ისე თუ არ გვაცნობებთ ნაწილის ვინაობა. მოიწერეთ რომელ ნაწილში აქვს ადგილი აღნიშნულ მოვლენას.

დავითურს. თქვენი კორესპონდენცია „უნდა მიექცეს ყურადღება" გამოდგება ადგილობრივი კედლის გაზეთისათვის.

გ. გიგუაშვილს. ლექსი არ გამოდგა. მოიწერეთ ნაწილის ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ.

მე-3 ათასეულს. კორესპონდენცია ფულის მიღების შესახებ არ დაბეჭდება. თქვენი მოთხოვნილება უსაფუძვლოა სრულიად.

ვ. მაისურაძეს. თქვენი წერილი ახალწვეულების მოსვლის შესახებ ძლიერ დაგვიანებით მივიღეთ. არ გადის.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ ცხენოსან ლეგსკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ ამავე სკოლის კურსანტებს განცხადებები პარტიაში შემოსვლის შესახებ.

1. იასონ გურგენიძეს, კომპარტიის კანდიდატი. 2. გიორგი ვანიშვილს, ალკ წევრობიდან—კომპარტ-კანდიდატად (გორის მაზ. სოფ. ატენის მცხ.) 3. სპირიდონ ზატიკაშვილს ალკ წევრობიდან—კომპარტ-კანდიდატად (თელავის მაზ. სოფ. წინანდალი).

თუ ვინმემ იცით რაიმე უარყოფითი ზემო ნაჩვენებ ამხანაგების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ ორი კვირის განმავლობაში დღიდან განცხადებისა.

მე-5 ლეგიონის 1-ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება ამხ. ვასაძე ბენიამენ ნიკოლოზისძეს (კ.კ. წევრი) კანდიდატად გადარიცხვის შესახებ. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო ამის შესახებ გვაცნობოთ ხსენებულ უჯრედში.

პ. მ. ა. მახარაძე.

დავკარგე ს. კ. პარტიის საკანდიდატო ბარათი № 7873 ლადო ჯავახიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პარტ-კანდიდატობის ბარათი № 11766 ვლადიმერ სოსიკოსძე ლოქაბაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე კომპარტიის საკანდიდატო წიგნაკი № 2601 1-ლ ქ. მ. დივიზიის პარტკომთანიდან მოცემული ლავრენტი ოსებისძე ქალაბაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პარტ-კანდიდატობის წიგნაკი გაცემული მე-2 დივიზიიდან შალვა ნიკოლოზისძე ხონელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.